საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990119676440822

№17/1021

03 / ივნისი / 2022 წ.

მოქალაქე ალექსანდრე ზაქარეიშვილს
ტელ. 555339344
ელფოსტა: a.zakareishvili@gmail.com

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი 2022 წლის 28 მარტის განცხადების #1305 პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფ. დიღომში, ადგილ „საჯოგეს“ მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.004.868) საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოს პოზიციას, გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს არქეოლოგიურად აქტიურ ზონაში, სადაც ადამიანის ცხოვრების კვალი ძველი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული ადრეშუასაუკუნეების ჩათვლით აღინიშნება, შესაბამისად მიწის სამუშაოების დროს ახალი არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის ალბათობა მაღალია, რასაც ადასტურებს რეგიონში სხვადასხვა დროს და ადგილას აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტები.

არქეოლოგიური ობიექტ(ებ)ის დაზიანება/განადგურების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საპროექტო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების დაწყებამდე არქეოლოგიური ზედაპირული კვლევის განხორციელება, ხოლო ფართომასშტაბიანი მიწის სამუშაოების წარმართვა, აუცილებელია განხორციელდეს არქეოლოგის ზედამხედველობით.

მიწის სამუშაოებზე მეთვალყურე არქეოლოგი ვალდებულია სააგენტოში წარმოადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევად და გატარდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის საზღვრების ნებისმიერი ცვლილება უნდა შეთანხმდეს სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

აღსანიშნავია, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად - „თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან აღმოჩენის ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არა უგვიანეს 7 დღისა“.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპვდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი